



საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

ფინანსური პირამიდები



www.sab.ge

ფინანსური პირამიდები

შესავალი

საქართველოში ფინანსური განათლების დაბალი დონე ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. Standard & Poor's -ის კვლევის თანახმად, მოქალაქეების ფინანსური განათლების დონის რეიტინგში, საქართველო 144 ქვეყნიდან 96-ე ადგილს იკავებს და ზრდასრული მოსახლეობის მხოლოდ 30% არის ფინანსურად განათლებული. ეს ხშირად იწვევს იმას, რომ მომხმარებელი პროდუქტის პირობას არ ეცნობა და ხელშეკრულებას ისე აწერს ხელს. მომხმარებლის სურვილიდან გამომდინარე, დროის მოკლე პერიოდში მიიღოს მაღალი სარგებელი იზრდება, კომპანიების ჩამონათვალი, რომლებიც თანხის მოსაზიდად მოსახლეობას ბაზარზე არსებულ საშუალო შემოსავლიანობაზე გაცილებით მაღალ სარგებელს სთავაზობენ. დაბალი ფინანსური განათლების დონიდან გამომდინარე არსებობს მაღალი რისკი, რომ სინამდვილეში არსებული ორგანიზაციები მომხმარებლებს სთავაზობენ თაღლითურ სქემებს ე.წ. ფინანსური პირამიდების მოდელს, რომელიც არ ჰქმნის დამატებით ღირებულებას და მხოლოდ მომხმარებლების კუთვნილი თანხების მითვისებას ისახავს მიზნად. „საზოგადოება და ბანკები“ დაინტერესდა, თუ რამდენად სანდოა და კანონიერი მსგავსი საქმიანობა და რამდენად არის დაცული მომხმარებლის უფლებები. როგორია საერთაშორისო გამოცდილება და ზოგადად, რა რისკებს შეიცავს მსგავსი ტიპის ინვესტიციები.

ფინანსური პირამიდების ისტორია

ფინანსური პირამიდების სხვადასხვა სქემები მე-17 საუკუნიდან იღებს სათავეს. სავაჭრო ბაზრების ზრდასთან ერთად, მოსახლეობის თანხები არაერთი თაღლითური სქემით გაიფლანგა. ერთ-ერთი ცნობილი შემთხვევა დიდ ბრიტანეთს უკავშირდება. 1711 წელს შექმნილმა კომპანიამ ათი წლის განმავლობაში იარსება და ამ დროის განმავლობაში სახელმწიფოს უმსხვილეს კრედიტორს წარმოადგენდა. კომპანიის გადახდისუნარიანად ცნობის შემდეგ საერთო ზარალმა 9 მლნ ფუნტი შეადგინა, რაც იმ დროისთვის საკმაოდ დიდი თანხა იყო.

არსებული თაღლითური სქემით, კომპანია აქციონერებს ესპანეთის კონტროლის ქვეშ მყოფი სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე ვაჭრობისთვის მიმზიდველ პირობებს სთავაზობდა. იმ შემთხვევაში, თუ საომარი ვითარება ესპანეთსა და ინგლისს შორის ინგლისის სამეფო ტახტის გამარჯვებით დასრულდებოდა, კომპანიის დამფუძნებელი სახელმწიფოს წინაშე არსებული დავალიანების გამოსყიდვაზე (ჩამონერაზე) პასუხისმგებლობას იღებდა. აქციების ღირებულება 5 თვიან პერიოდში 128 ფუნტიდან 550 ფუნტამდე გაიზარდა. აქციონერები იყვნენ დიდგვაროვანი ლორდები და ცნობილი ადამიანები, მათი სახელით მანიპულირება კი რევლამისთვის და ახალი ფულადი ნაკადების მოძიებისთვის გამოიყენებოდა. მთავრობის დაინტერესებულებიდან გამომდინარე, გამოიცა სამეფო აქტი, რომელიც ფაქტობრივად კრძალავდა მსგავს კომპანიებში თანხის დაბანდებას. ეს პირდაპირ აისახა აქციების ღირებულებაზე, რომელმაც 1000 ფუნტს მიაღწია. სქემის ფართოდ გავრცელების შემდეგ კომპანიამ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. შედეგად, აქციების ფასი ერთ თვეში 150 ფუნტამდე დაეცა. მართლმსაჯულებამ კომპანიის დამფუძნებლის რ. ჰარლის გასამართლება ვერ შეძლო, რადგან მან თანამოაზრეებთან ერთად ინგლისის ტერიტორიის დატოვება შეძლო. მოახერხა ფინანსური პირამიდიით დაზარალებულ მოსახლეობას შორის იყვნენ ისეთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც არიან ისააკ ნიუტონი და ჯონათან სვიფტი.

21-ე საუკუნის ყველაზე გახმაურებული ფინანსური პირამიდის ფორმირება ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო. ფინანსური პირამიდის შემქმნელი 71 წლის ბიზნესმენი ბერნარდ მედოფი იყო, რომელსაც უმაღლესი სასჯელი 150 წლიანი პატიმრობა მიესაჯა. კონფისკაცია გაუკეთდა მისი და მისი მეუღლის ქონებას, რომელიც ვერ აანაზღაურებდა მილიარდობით აშშ დოლარის ზარალს. სანყის ეტაპზე ინვესტორებში 12%-იანი სარგებელი ეჭვის საფუძველს არ იწვევდა, რადგან თაღლითურ სქემას გავლენიანი ფინანსისტი, სააქციო ფონდის Nasdaq -ის დირექტორთა საბჭოს წევრი ხელმძღვანელობდა. მისი საინვესტიციო ფონდი International Securities Clearing კი წლების განმავლობაში წარმატებული კომპანიების ათეულში ხვდებოდა. მედოფის ბიზნესმა 2008 წლის მსოფლიო კრიზისის ვერ გაუძლო და ჩამოიშალა, შედეგად მრავალი წარმატებული კომპანია და ათასობით ფიზიკური პირი დაზარალდა.



ფინანსური პირამიდების მაგალითები საქართველოში

გლობალიზაციის პირობებში, ინტერნეტისა და სოციალური ქსელის საშუალებით, საფრთხის შემცველმა გარიგებებმა უფრო აქტიური სახე მიიღო. იყიდება არა პროდუქტი ან აქცია, არამედ გამდიდრების შანსი, რაც ინტერნეტ სივრცით ბევრად მარტივია. სქემა არის შემდეგი: დაინტერესებული პირი რეგისტრირდება კომპანიაში, იხდის სანევრო მოსაკრებელს ან სანყის „ინვესტიციას“. მომხმარებელი ვალდებულია/ნახალისებულია აამაღლოს გვერდის ცნობადობა და რაც შეიძლება ბევრი „სხვა ინვესტორი“ მოიზიდოს. მომხმარებელს ქსელის გაზრდის სანაცვლოდ ერიცხება ბონუსი, მოძიებული თანხის გარკვეული პროცენტი. ხშირ შემთხვევაში ქსელური მარკეტინგი ფინანსური პირამიდის სქემასთან თანხვედრაშია. მიზანი ორივე შემთხვევაში ფართო მასების დაინტერესება და ჩართვაა. ეს ყველაფერი კი სქემის ჩამოშლით სრულდება. რაც უფრო რთული სქემაა და ბევრ მომხმარებელს მოიზიდავს, მით უფრო იზრდება სქემის სიცოცხლის ხანგრძლივობა და სანყის ეტაპზე განვერიაანებულმა მომხმარებლებმა შესაძლოა მიიღონ შემოსავალი, რომელიც აღემატება მათ შენატანს. ინტერნეტ თაღლითობა ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

- აქტიური სარეკლამო მარკეტინგი და საბაზროზე მაღალი სარგებელი
- დამალული/რთული ბიზნესმოდელი. აქცენტირება ყოველთვის კომპანიის წარმატებაზე და გაცემულ სახსრებზე ხდება.
- სანევროს მცირე შენატანი და გამდიდრების მომხიბლველი შანსი

საქართველოში 90-იანი წლების ე.წ. „ბანკების“ ბიზნესმოდელმა, რომელიც თაღლითურ სქემაზე იყო დაფუძნებული საკმაოდ ბევრი მომხმარებელი დააზარალა. ვინაიდან, კანონმდებლობით მინიმალური სანესდებო ვაპიტალის მოთხოვნა მხოლოდ 500 აშშ დოლარით იყო განსაზღვრული, 200-ზე მეტს გადააჭარბა იმ კომპანიების რიცხვმა, რომლებიც თავს კომერციულ ბანკებად ასაღებდნენ და სინამდვილეში მოსახლეობის დანაზოგების მითვისებაზე იყვნენ ორიენტირებული. სწრაფად გამდიდრების მსურველთა ნდობას ზრდიდა ისიც, რომ კომპანიები პირველ ეტაპზე ახერხებდნენ მიღებული თანხების მომხმარებლისთვის უკან დაბრუნებას.

დამოუკიდებლობის სანყის ეტაპზე მიღებული გამოცდილების მიუხედავად, ბოლო წლებში თაღლითური სქემის მქონე ბევრი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) დაარსდა. აღნიშნული კომპანიების გათვლას წარმოადგენს მოსახლეობის ის ჯგუფი, რომელსაც სურს მაღალი სარგებლის მიღება დროის მოკლე მონაკვეთში და თანხის საეჭვო ფირმებისთვის მინდობით თავის თავზე იღებს გაუმართლებელ რისკს. მომხმარებლების რაოდენობის სწრაფი ზრდის სურვილით, თაღლითური კომპანიების მთავარი მარკეტინგული გზავნილებია: დაბანდების საიმედოობა, ბიზნეს გამოცდილება და „მოზიდული მრავალმილიონიანი ინვესტიციები“. საიმედოობის ზრდის სურვილით რეკლამირებას ხშირად საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებით ახორციელებენ. შედეგად ვიღებთ მზარდ ბიზნესსექტორს, რომელიც კანონმდებლობით არ რეგულირდება. მსგავსი კომპანიები მომხმარებელს ლარში ინვესტირების შემთხვევაში საშუალოდ წლიურ 24%-დან 360%-მდე, ხოლო აშშ დოლარში 13%-დან 240% სარგებელს სთავაზობენ.

დღესდღეობით, საქართველოში სხვადასხვა პირამიდული სქემები არსებობს. ერთ-ერთი ქსელური მარკეტინგზეა დაფუძნებული. კომპანიასთან ურთიერთობა, შეძენილი ნივთით ინყება და მომხმარებლის აგენტად ფორმირებით სრულდება. ახალი მომხმარებლების მოზიდვით აგენტი პროდუქციის აქტიურ გაყიდვას და ქსელის გაშლას ინყებს. ერთი შეხედვით გამდიდრების საშუალება, მოსალოდნელია წარუმატებლად დასრულდეს. ფინანსურად დაზარალდება ყველა ის მომხმარებელი, ვინც ქსელში შედარებით გვიან განვერიაანდა. მათ დარჩებათ ნივთი, რომლის საბაზრო ღირებულება გადახდილზე გაცილებით ნაკლებია. აქვე აღსანიშნავია რომ, ზარალის შემთხვევაში, ამ ტიპის კომპანიებთან სამართლებრივი დავა შეუძლებელია, რადგან ნივთი საკუთარი ნებითაა შეძენილი და ხელშეკრულებით დამონმებული.

ფინანსური სექტორის განვითარების მაღალი დონე უზიძგებს თაღლითურ კომპანიებს თავიანთი საქმიანობა საფინანსო სექტორის საქმიანობად გაასაღონ. ერთ-ერთი გავრცელებული სქემით ცდილობენ ბიზნესმოდელი მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან გააიგივონ. ეს მათთვის საშუალებაა მოიზიდონ დანაზოგები და გასცენ „უიმედო“ სესხები, რომლებიც არასდროს დაბრუნდება და ვერ შეძლებს



მომხმარებელთა დანაზოგების გასტუმრებას. აღნიშნული ბიზნესის სტრუქტურა ყოველ მომდევნო შენატანზე დაფუძნებული. არსებული მომხმარებლების გასტუმრება არა გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავლის, არამედ ახალი მომხმარებლების განთავსებული ფინანსური რესურსებით ხორციელდება. მომხმარებელი დანაზოგის განთავსებისას წინასწარ ირჩევს ხელშეკრულების ხანგრძლივობას და ვადის გასვლამდე თანხის დაბრუნება შეუძლებელია. ეს პუნქტი არის ე.წ. „პირამიდული სქემის“ მთავარი მამოძრავებელი. როგორც კი, რომელიმე მსგავსი კომპანია ვერ შეძლებს ახალი მომხმარებლის მოზიდვას წარმოიქმნება თანხის დაბრუნების მასშტაბური პრობლემა. კომპანიის სიცოცხლის ხანგრძლივობა რისკებს არ ამცირებს, დროთა განმავლობაში იზრდება დაზარალებულთა რაოდენობა.

როგორც წესი თაღლითური სქემების შემქმნელები თავს აიგივებენ ეკონომიკის სექტორის წარმატებულ სეგმენტთან და შეიძლება თავი წარმოგვიდგინონ:

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციებად
- სავალუტო თრეიდერებად
- უძრავი ქონების ბაზრის მონაწილეებად
- საქონლით მოვაჭრეებად (ძირითადად ქსელური მარკეტინგის კომპანიები)
- კრიპტოვალუტების „მაინინგში“ ჩართულ კომპანიებად

ვინაიდან არ არსებობს სრული ინფორმაცია ფინანსური პირამიდებისგან დაზარალებულების შესახებ, საკმაოდ რთულია შევაფასოთ ეკონომიკური ზარალი, რომელიც მოსახლეობას მიადგა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფინანსური პირამიდებისგან მიყენებულმა ზარალმა 100 მლნ ლარს მიაღწია, ხოლო დაზარალებული ფიზიკური პირების რაოდენობა 4000-ს აღწევს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის კომპანიები, რომლებიც ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის და რომელთა წინააღმდეგ მიმდინარეობს სამართლებრივი დავა:

- ✓ საფინანსო კომპანია საქართველო - 2343 მოქალაქეს 81 მლნ ლარამდე (12 688 965 ლარი, 1 837 761 ევრო და 23 761 849 აშშ დოლარი) მატერიალური ზიანი მიადგა. (წყარო: ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური)
- ✓ MFX Broker Georgia - მიმდინარეობს სამართლებრივი დავა, დაუზუსტებელი მონაცემებით მითვისებულია 4.2 მლნ. ლარამდე (1,645 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი) და დაზარალებულად ცნობილია 111 მოქალაქე.
- ✓ ევროკრედიტი - მიმდინარეობს სამართლებრივი დავა, დაუზუსტებელი ინფორმაციით ზარალის მოცულობა 3 მლნ. ლარს აჭარბებს. დაზარალდა 300-ზე მეტი ადამიანი.

სია არ არის სრული და არსებობს საფრთხე, რომ უახლოეს მომავალში გაიზარდოს როგორც გაკოტრებულად ცნობილი კომპანიების რიცხვი, ასევე დაზარალებულ მომხმარებელთა რაოდენობა.

ნებისმიერი ბიზნესსაქმიანობა დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან. იმისთვის რომ მომხმარებელმა გაარჩიოს ფინანსური პირამიდა ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისგან, აუცილებელია იცოდეს ის საეჭვო ნიშნები, რაც აერთიანებს ყველა თაღლითურ ბიზნესს:

- I. შეთავაზებული სარგებელი გაცილებით აღემატება ბაზარზე არსებულ საშუალო სარგებლიანობის მაჩვენებლებს - ფინანსური პირამიდის სქემა პირველ რიგში მიზნად ისახავს მოიზიდოს მოსახლეობის ის ჯგუფი, რომელსაც არ აქვს ფინანსური განათლების მაღალი დონე. შესაძლო გამოსავალი:
 - გავანალიზოთ სექტორში არსებული საშუალო შემოსავლიანობა
 - კომპანიის აქტივები არ უნდა გამოირჩეოდეს მაღალი მერყეობით და უნდა აღემატებოდეს ვალდებულებებს, რომ ბიზნესმა შეინარჩუნოს გადახდისუნარიანობა



- II. „რთული ბიზნესმოდელი“ - მომხმარებლისთვის დაფარული ან გაუგებარი ბიზნეს სქემა ზრდის რისკებს და არის ფინანსური პირამიდის არსებობის ნიშანი. შესაძლო გამოსავალი:
- შევადაროთ ბიზნესმოდელის მახასიათებლები ანალოგიურ სფეროში მოქმედი კომპანიების ბიზნესმოდელს.
- III. ზრდის შენელება - პირამიდულ სისტემაზე ანუობილი ბიზნესის სწრაფი განვითარება და აგრესიული მარკეტინგი ხშირ შემთხვევაში იმის მაჩვენებელია, რომ კომპანია გაკოტრების პირასაა.
- IV. პრობლემების წარმოქმნა და მიმდინარე ვალდებულებების გადავადება - კომპანიას უჭირს ახალი მომხმარებლების მოზიდვა და მათ ხარჯზე ვალდებულებების გასტუმრება.

რეგულატორის მნიშვნელობა და შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებები სხვა ქვეყნების მაგალითზე

2008 წლის კრიზისმა აჩვენა, რომ ფინანსური პირამიდების არსებობით მიყენებული ზიანი და დაზარალებულთა რაოდენობა სწრაფად იზრდება. მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად საჭიროა საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და პრევენციული ღონისძიებების გატარება, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

2013 წელს დიდ ბრიტანეთში შეიქმნა UK Financial Conduct Authority, რომლის მთავარი მიზანია:

- ✓ მომხმარებელთა დაცვა
- ✓ ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება
- ✓ კონკურენციის ნახალისება

ფინანსური ბაზრის რეგულირების ორგანო მომხმარებელთა დაცვის მიზნით მონიტორინგს უწევს 56 000 ფინანსური მომსახურების მიმწოდებელ კომპანიას და მათ შორის 18 000-ის მკაცრ რეგულირებას ახდენს. ბაზრის ზედამხედველი განსაკუთრებით აკონტროლებს ახალწარმოქმნილ კომპანიებს და შემუშავებული აქვს პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს ამცნობს ინვესტიციებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკს. პლატფორმის მეშვეობით ასევე შესაძლებელია არამხოლოდ ავტორიზებული კომპანიების ნახვა, რომლებსაც ნებადართული აქვთ საინვესტიციო საქმიანობა, არამედ ხაზგასმულია სარისკო/თაღლითური გზით მოქმედი კომპანიები.

ფინანსური პირამიდების სქემა კრიმინალიზებულია ბევრ ქვეყანაში, მათ შორის კანადაში. 1993 წლის 1 იანვრის შემდეგ პირამიდულ სქემად მიჩნეულია კომპანია თუ:

- ახალი გაყიდვების აგენტის მოსაზიდად გადახდილია კომპენსაცია
- მოზიდულმა გაყიდვების აგენტებმა უნდა შეიძინონ კომპანიისგან გარკვეული რაოდენობის საქონელი

გარკვეულ შემთხვევებში მკაცრი ფორმის რეგულაციები არ არის გამოსავალი, ვინაიდან შექმნილი ბარიერებით შესაძლებელია დაზარალებულ ბიზნესის წარმომადგენლები. იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ აღნიშნული, საწყის ეტაპზე საჭიროა თუნდაც ე.წ. რბილი ფორმის რეგულაციები და მომხმარებელთა მაქსიმალური ინფორმირება. სამწუხაროდ ამ დროისთვის არ არსებობს არანაირი



სტატისტიკური მონაცემი, თუ რამდენი ადამიანი სარგებლობს მსგავსი ტიპის მომსახურებით, რამდენი ასეთი კომპანია არის რეგისტრირებული და მომხმარებელთა რა მოცულობის დანაზოგს განკარგავს ეს სექტორი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეროვნული ბანკის ფუნქციაა ფინანსური ბაზრის ზედამხედველობა, მას არ გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული ფინანსური პირამიდების წინააღმდეგ ბრძოლის რეალური ბერკეტი. ეროვნულ ბანკს შეუძლია შეიმუშავოს რეკომენდაცია და გადაუგზავნოს სამართალდამცავ ორგანოებს, თუმცა ეს ისევ და ისევ ხანგრძლივი პროცედურაა და ამ დროის განმავლობაში დაზარალებული ადამიანების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს, ხოლო პირამიდული სქემის მფლობელებმა თავისი უკანასკნელი აქტივები გადააფორმონ მესამე პირებზე. შესაბამისად საჭიროა რეგულატორისთვის ქმედითი ბერკეტების მინიჭება.

დასკვნა და რეკომენდაციები

შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობის პირობებში არაინფორმირებული და გაუთვითცნობიერებელი მომხმარებელი დაუცველია ფინანსური პირამიდების წინაშე. მისთვის საკმაოდ რთულია თაღლითური სქემის ამოცნობა და სწორი გადაწყვეტილების მიღება. მომხმარებელთა უფლებების დასაცავად აუცილებელია ფინანსური განათლების დონის ამაღლება, ასევე პირამიდული ტიპის საქმიანობის კრიმინალიზაცია და კონკრეტულ ჩარჩოებში მოქცევა. აუცილებელია იმ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სადაც „პირამიდა ბიზნესი“ ითვლება კრიმინალურ საქმიანობად და ისჯება კანონით. რეგულირდება მათ მიერ მომზადებული სარეკლამო რგოლები, რათა დაცული იყოს მომხმარებელთა უფლებები. ეს არ ნიშნავს, რომ განხორციელდეს ბიზნესსუბიექტების ტოტალური კონტროლი, არამედ საუბარია იმ კომპანიებზე, რომლებიც ფართო მასებიდან იზიდავენ ფინანსურ რესურსს და მათი ბიზნეს მოდელი არის ფინანსური პირამიდის ბიზნესმოდელის მსგავსი.

„საზოგადოება და ბანკების“ აზრით, ფინანსური პირამიდების წინააღმდეგ საჭიროა:

- საკანონმდებლო ჩარჩოს შეიმუშავება და პირამიდული ბიზნესის კრიმინალიზება
- რეგულატორს საშუალებას მიეცემს, ფინანსური დანაშაულის პრევენცია მოახდინოს
- რეგულატორს ფინანსური დანაშაულის პრევენციის საშუალება მიეცეს
- მოსახლეობის აქტიური ინფორმირება საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ
- სარისკო კომპანიების გამოვლენა და ზედამხედველობა
- ბაზრის მუდმივი მონიტორინგი
- კომპანიების საქმიანობაში თაღლითური მეთოდების დროული გამოვლენა



